

საერთაშორისო კონვენციის „საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის“ ზოგიერთი საკითხის შესახებ

რეზიუმე

საქართველოს საგადასახადო კოდექსთან (შემდგომში კოდექსი), რომელიც განსაზღვრავს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონერების ზოგად პრინციპებს და არეგულირებს საგადასახადო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, შეხება აქვთ როგორც იურიდიულ და ფიზიკურ, ასევე რეზიდენტ და არარეზიდენტ პირებს. კოდექსი წარმოადგენს საკმაოდ რთულ დოკუმენტს, რომელშიც ხშირად გვხვდება ბუნდოვანი განსაზღვრებები და განმარტებები, რის გამოც ხდება ამა თუ იმ საკითხების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია.

აღნიშნულის გამო, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეკონომიკური აღმავლობის (EPI) ინიციატივით, ქართველი სპეციალისტების მიერ მომზადდა და გამოიცა „საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები“, რომელშიც ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომ, გასაგებ ენაზე, განმარტებულია კოდექსის თითქმის ყველა მუხლი, აქციზთან დაკავშირებული მუხლების გარდა.

კოდექსში მოცემულია საქონლის დასაბეგარი ტარიფები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (შემდგომში სეს ესნ) კოდექსის მიხედვით, სეს ესნ ნომენკლატურა და შესაბამისი კოდექსი შეესაბამება/უნდა შეესაბამებოდეს „საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის“ (შემდგომში ჰს) საერთაშორისო კონვენციის, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (შემდგომში სეს სნ) კოდექსს.

ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ხელშეკრულების ვალდებულებებიდან გამომდინარე, მიღებული იქნა მთელი რიგი კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომლის თანახმადაც, საჭირო გახდა კოდექსში მოცემული ზოგიერთი საკითხების ახლებურად

რეზიუმე

რეზიუმე
კომპანია „ბილჯ ვოტერ“-ის
კონსულტანტი

ბოდბერი ტაბატაძე
სტუ-ს ემერიტუსი, პროფესორი

ბელა ლოხჯანიძე
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

ნოდარ მაჭავარიანი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

ვალერი ხითარიშვილი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
E-mail: katedra49@gmail.com

განმარტება და შესრულება, საგარეო ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით, ჰს კონვენციის მიხედვით (საქართველო მიერთებულია გასული საუკუნის ბოლოს). აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით (რომელიც წარმოადგენს საკმაოდ რთულ იურიდიულ დოკუმენტს), რომელთანაც შეხება აქვს ყველა იმპორტიორ და ექსპორტიორ დეკლარანტებს, რაიმე სახის განმარტებები „საგადასახადო კოდექსის კომენტარები“-ს ან სხვა სახის პუბლიკაციების სახით, დღეისათვის არ არსებობს.

წინამდებარე სტატიის მიზანია, დაინტერესებულ პირებს გარკვეული დახმარება გაუწიოს ზემოაღნიშნული კონვენციის ზოგადი და ზოგიერთი კონკრეტული საკითხების გარკვევაში.

ამჟამად მოქმედი ჰს კონვენციის შექმნას, წინ უძღოდა საკმაოდ რთული პროცესები, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო კოდექსი, ჰარმონიზებული სისტემის საერთაშორისო კონვენცია, საგარეო ეკონომიკური საქმიანობა; ნავთობპროდუქტები.

სოციალური ეკონომიკის პრობლემები

ისო საგარეო სტატისტიკაში გამოსაყენებლად“, რომელიც ქვეყნების მიერ გამოიყენებოდა ნაციონალური კლასიფიკაციისათვის.

90-იანი წლების დასაწყისამდე, უმეტესი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები, საგარეო ვაჭრობისას იყენებდნენ კლასიფიკაციის სამ სისტემას:

- საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს, ან ბრიუსელის საბაჟო ნომენკლატურა;
- ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ერთიანი საგარეო ვაჭრობის ნომენკლატურა;
- გაეროს სტანდარტული საერთაშორისო ვაჭრობის კლასიფიკაცია.

ყველა ეს საერთაშორისო ნომენკლატურები აგებული იყო განსხვავებული კლასიფიკაციის პრინციპებზე და ქონდა საქონლებრუნვის დეტალიზაციის სხვადასხვა ხარისხი, რაც ართულებდა განსხვავებული საქონლის ნომენკლატურის გამოყენებელი ქვეყნების იმპორტის და ექსპორტის პრაქტიკული მონაცემების შეჯერებას.

ვერც ერთი, ადრე შემუშავებული ნომენკლატურებიდან მთლიანი მოცულობით, ვერ პასუხობდა იმ მოთხოვნებს, რომელსაც მას უყენებდნენ ცალკეული ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები. შედეგად, გაეროსთან არსებულ საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს დაევალა შეესწავლა შესაძლებლობა, ერთიანი საერთაშორისო სასაქონლო კლასიფიკაციის სისტემის შექმნის შესახებ. ამგვარად 1983 წლის 14 ივნისს ბრიუსელში, საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს (ამჟამად ეწოდება მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია) სესიაზე დამტკიცებული იქნა „საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის“ საერთაშორისო კონვენცია. კონვენციის ასამოქმედებლად საჭირო იყო რატიფიცირება მოეხდინათ გარკვეული რაოდენობის ქვეყნებს, რომელიც განხორციელდა მხოლოდ 1988 წლის 1 ივნისს, რის გამოც აღნიშნული თარიღი ითვლება კონვენციის ძალაში შესვლის ოფიციალურ თარიღად.

ჰს კონვენციის პრეამბულაში აღნიშნული იყო, რომ ახალი ნომენკლატურის დანიშნულებაა გამოიყენებოდეს არამარტო საბაჟო სტატისტიკური ნომენკლატურის შესადგენად, არამედ მის საფუძველზე სატრანსპორტო ტარიფების და სამრეწველო კლასიფიკატორის შესაქმნე-

ლადაც; ასევე, პირველ რიგში საგარეო ვაჭრობის გასამარტივებლად და განვითარებისათვის, კერძო პირების და სხვა ინსტიტუციების ხარჯების შესამცირებლად, რომელიც გამოწვეული იყო საერთაშორისო ვაჭრობის პროცესში, საქონლის ერთი კლასიფიკაციის სხვა კლასიფიკაციის სისტემაზე გადასვლის მიზეზით, საქონლის განმეორებითი აღწერის, კლასიფიკაციის და კოდირების გამო.

თავისთავად, **ჰარმონიზებული სისტემა 2 ეს არის ნომენკლატურა, რომელიც მოცემულია ჰს დანართში.** ჰს ნომენკლატურა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- სასაქონლო პოზიციები, სუბპოზიციები;
- სასაქონლო პოზიციები, სუბპოზიციები და მათთან მიკუთვნებული ციფრული კოდები;
- თავების, ჯგუფების და სუბპოზიციების შენიშვნები;
- ჰს ინტერპრეტაციის ძირითადი წესები.

როდესაც ლაპარაკია საქონლის კლასიფიკაციაზე ჰს ნომენკლატურის მიხედვით, იგულისხმება კლასიფიკაციის კოდის განსაზღვრა, უფრო ზუსტად, სუბპოზიციის და შესაბამისი ექვსციფრიანი კოდის დადგენა (აღინიშნება არაბული ციფრებით). კოდის ნებისმიერი ციფრი დაკავშირებულია კლასიფიკაციის განსაზღვრულ დონესთან და ნომენკლატურის ტექსტთან.

ჰს იერარქიულია და წარმოდგენილია ხუთი დონისაგან: **კარები (განყოფილება) (21), ჯგუფები (99), ქვეჯგუფები (33), სასაქონლო პოზიციები (1241), ქვესუბპოზიციები (50121).** უმაღლეს დონეს წარმოადგენს კარი და აღინიშნება რომელი ციფრით (კარის კოდირება არ ხდება).

კარების კლასიფიკაციას საფუძველად უდევს საქონლის სხვადასხვა ნიშანთვისებების ერთობლიობა, რომელთაგან ძირითადად წარმოდგენილია:

- წარმოშობა (კარი I, II, V);
- ფუნქციონალური დანიშნულება (კარი IV, XI, XII, XVII, XVIII, XIX, XX, XXI);
- ქიმიური შემადგენლობა (კარი III, VI, VII);
- მასალის სახეობა, რომლისგანაც დამზადებულია საქონელი (კარი VIII, IX, X, XIII, XIV, XV).

კარებში საქონელი დაჯგუფებულია სამრეწველო დარგების მიხედვით. მაგალითად I კარში 2 ცოცხალი ცხოველები, II კარში 2

მცენარეული წარმოშობის პროდუქტები, III კარში 2 ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცვილები, IV კარში 2 კვების მზა პროდუქტები, V კარში 2 მინერალური პროდუქტები და ა.შ.

შემდეგი დონე 2 ჯგუფები, (ექსპლუატაციის პირველი ორი ციფრი) რომელშიც საქონელი გაერთიანებულია შესაბამისად:

- მასალებთან, რომელთაც დამზადებულია ისინი;
- ფუნქციასთან, რომელსაც ისინი ასრულებენ;
- დამუშავების ხარისხთან.

შემდეგი დონე 2 **სასაქონლო პოზიციები** (ექსპლუატაციის პირველი ოთხი ციფრი). ამ დონეზე საქონლის დეტალიზაცია ხორციელდება უფრო სპეციფიკური ნიშნით, ვიდრე ადრე იყო მითითებული.

შემდეგი დონე 2 **სუბპოზიციები**, რომელიც განსაზღვრულ სასაქონლო პოზიციაზეა მიკუთვნებული (ექსპლუატაციის პირველი ხუთი ციფრი) ერთი დევისით. საბოლოო **სუბპოზიცია** (ექსპლუატაციის პირველი ოთხი ციფრი) ორი დევისით, რომელიც მიკუთვნებულია პირველი დონის (ერთი დევისით) სუბპოზიციას. საქონლის კონკრეტული განსაზღვრება ხდება სასაქონლო ქვესუბპოზიციებით (ექსპლუატაციის მეტი).

საქონლის ნომენკლატურის სპეციფიკის წარმოადგენს ე.წ. „დევისური სისტემა“, რომელიც საქონლის კლასიფიკატორული დაჯგუფების ფართო შესაძლებლობას იძლევა.

საქონლის ციფრული კოდი შეიცავს მითითებას ჯგუფის ნომერზე, რომელშიც ჩართულია საქონელი (კოდის პირველი ორი ციფრი), სასაქონლო პოზიციის კოდი (კოდის პირველი ოთხი ციფრი) და სუბპოზიციის კოდი, რომელსაც შეესაბამება ექვსი ციფრი ერთი ან ორი დევისის შეთავსებით. **დევისების რაოდენობა ყოველთვის ტოლია სუბპოზიციების დონის. იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი სასაქონლო პოზიცია არ იყოფა სუბპოზიციებად, კოდის მე-5 და მე-6 ციფრი აღინიშნება ნულით. თუ სუბპოზიცია ერთი დევისით არ იყოფა სუბპოზიციაზე ორი დევისით, მაშინ ნულად აღინიშნება მხოლოდ კოდის მე-6 ციფრი.** ასეთი კოდი წარმოადგენს მსოფლიო ვაჭრობაში ჩართულ ყველა საქონლის კოდირების საფუძველს და დამტკიცებულია ჰს დებულებებით, რომელიც მიღებულია მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ.

ჰს წარმოდგენილია საქონლის ინტერპრეტაციის 6 წესი, რომელშიც ფორმულირებულია კლასიფიკაციის მთავარი პრინციპები და ადგენს საქონლის განსაზღვრულ სასაქონლო პოზიციაში ჩართვის წესს. პირველი 5 წესის დანიშნულებაა დადგინდეს სასაქონლო პოზიცია, ხოლო მე-6 წესი გამოიყენება მას შემდეგ, როდესაც უკვე განსაზღვრულია საქონლის 4 ციფრიანი კოდი და განისაზღვრება შესაბამისი სუბპოზიცია და ქვესუბპოზიცია.

ჰს კლასიფიკაცია მოიცავს ყველა იმ საქონელს, რომელიც სავაჭრო საქონელბრუნვაშია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე კონკრეტული საქონელის ცალკეული სუბპოზიცია არ არის ნომენკლატურაში ასახული, შესაძლებელია 6 ციფრიანი კლასიფიკაციური კოდის მინიჭება „საკალათე“ ან „დანარჩენი“ სუბპოზიციების გამოყენებით.

იურიდიული მიზნებისათვის (იმპორტული საქონლის კოდის მინიჭება, საბაჟო დეკლარაციის შევსება და სხვ.) საქონლის კლასიფიკაცია რომელიმე სასაქონლო სუბპოზიციებში ხორციელდება ასეთი სუბპოზიციების დასახელებების და სუბპოზიციებთან დაკავშირებული შენიშვნების, ასევე ჰს ინტერპრეტაციის წესების შესაბამისად.

ჰს თანახმად, მხარეებს შორის ვაჭრობის კლასიფიკაცია უნდა ეფუძნებოდეს თითოეული მხარის სატარიფო ნომენკლატურას, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს 2012 წლის ჰს. 2012 წ. საქსტატმა გამოაქვეყნა ოფიციალური დოკუმენტი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (სეს სნ) კოდები და პოზიციის დასახელებების შესახებ, რის საფუძველზედაც 2012 წ. 11 ივლისს გამოიცა ფინანსთა მინისტრის № 241 ბრძანება (შემდგომში ბრძანება) და დამტკიცდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) კოდები, პოზიციის დასახელებები, ინტერპრეტაციის ძირითადი წესები და კარის, ჯგუფის, სასაქონლო პოზიციის ან სუბპოზიციის შენიშვნები, რომელიც სრულ თანხვედრაშია საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ სეს სნ კოდებთან და პოზიციის დასახელებებთან.

წინამდებარე სტატიის მიზანია, კონკრეტული საქონლის 2 „ნამუშევარი ნავთობპროდუქტების“ და „ლიალური წყლების“ მიმართ გამოყენებული კლასიფიკაციის შესახებ, ჩვენი შენიშვნების და მოსაზრებების გადმოცემა.

სოციალური ეკონომიკის პრობლემები

2012 წ. ბრძანებაში, საქსტატის დოკუმენტში და იმ დროს მოქმედ კოდექსში, აქციზური საქონელი (ერთი დეფისით) „ნამუშევარი ნავთობ-პროდუქტები“: „დანარჩენი“ მოცემულია ჯგუფი 27, სასაქონლო პოზიცია 2710, სუბპოზიცია 2710 20, ქვესუბპოზიცია 2710 99 000 00 (ორი დეფისით). ბრძანების სასაქონლო პოზიციის შენიშვნები მიუთითებს, რომ „ნამუშევარი ნავთობპროდუქტები ნიშნავს ნარჩენებს, რომლებიც უპირატესად შეიცავენ ნავთობს ან ნავთობპროდუქტებს, წყალთან შერეული ან შეურეველი“, რომელშიც ჩაირთვება: „ნავთობ-პროდუქტები წყლის ემულსიის ან წყალთან ნაერთების სახით, მაგალითად, ნავთობპროდუქტების ბაკ საცავებიდან გამორეცხვის პროცესში“.

2012 წ. კოდექსის სეს ესნ 2710 99 000 00 კოდის პოზიციის დასახელება (შემოსავლების სამსახურის ინიციატივით) შეიცვალა ამჟამად მოქმედ კოდექსში, კერძოდ კოდის დასახელებაში „ნამუშევარი ნავთობპროდუქტები დანარჩენი“, ჩამატებულია ეროვნული საქონელი „ნამუშევარი ნავთობპროდუქტები 2 ლიალური წყალი“ და ფორმულირებულია შემდეგნაირად: სეს ესნ კოდი (დეფისის გარეშე) 2710 99 000 00 „ნამუშევარი ნავთობპროდუქტები 2 ლიალური წყალი (ნავთობით დაბინძურებული წყალი), ტანკის (ნავთობპროდუქტების ბაკ-საცავების) ნარეცხი“ და ამავე კოდში გაერთიანებულია მეორე ეროვნული საქონელი „ნამუშევარი ნავთობპროდუქტები დანარჩენი“. ორივე საქონელი იბეგრება სახვადასხვა აქციზის განაკვეთით. აღნიშნული ცვლილებებით დაირღვა ადგილობრივი და საერთაშორისო ნორმები, კერძოდ:

1. კოდექსში ფაქტიურად მოცემულია ნამუშევარი ნავთობპროდუქტების დეფინიცია, რაც არასწორია, რადგანაც გემზე წარმოქმნილი გემის ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი ნარჩენების (მყარი, თხევადი, სახიფათო, არასახიფათო) მართვა უნდა გამხორციელდეს „გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ“ მარპოლის 73/78 (შემდგომში კონვენცია) საერთაშორისო კონვენციის თანახმად, რომელშიც ტერმინები „ლიალური წყალი“, „ნავთობპროდუქტების ბაკ-საცავების ნარეცხი“, „ნავთობით დაბინძურებული წყალი“, საერთოდ არ არის ნახსენები;

2. კონვენციის თანახმად ლიალური წყლების შემკრებ ტანკში მოხვედრილი ნებისმიერი სითხე ითვლება „ნავთობშემცველ ლიალურ წყალად“

და როგორც ნავთობშემცველი ლიალური წყლების ტანკში, ასევე სხვა ტანკებში შეგროვებული ნებისმიერი რაოდენობის ნავთობის შემცველი ნარჩენები ითვლება „ნავთობშემცველ ნარეცხად“, ე.ი. ნავთობშემცველი „ლიალური წყალი“ იგივეა რაც „ნავთობშემცველი ნარევი“. ტერმინი „ნავთობშემცველი ლიალური წყალი“ გამოიყენები სხვა შემთხვევების დროს, რომელსაც მოცემულ თემასთან არა აქვს კავშირი;

3. ჰს და შემდგომ მიღებულ ასოცირების ხელშეკრულებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ მხარეებს შორის საქონლის ვაჭრობის კლასიფიკაცია უნდა ეფუძნებოდეს თითოეული მხარის სატარიფო ნომენკლატურას, რომელიც შესაბამისობაშია 2012 წლის ჰს;

4. ევროკავშირის არც ერთ ქვეყანაში, გემზე წარმოქმნილი ნარჩენები არ იბეგრება;

5. ჰს ინტერპრეტაციის ძირითადი წესების თანახმად, დაუშვებელია ერთი და იგივე სეს ესნ კოდში გაერთიანებული იყოს ორი საქონელი;

6. კოდექსში, ერთადერთი ქვესუბპოზიციას კოდი 2710 99 000 00, რომელსაც არ აქვს მინიჭებული დეფისი, რომლის გარეშე შეუძლებელია აქციზის ტარიფის დადგენა;

7. ჰს თანახმად იმისათვის, რომ ამა თუ იმ ეროვნულმა საქონელმა მიიღოს ახალ ნომენკლატურაში დამოუკიდებელი აღწერილობა (ცალკე საბაზისო პოზიცია) საჭიროა, რომ საქონლის საერთაშორისო სავაჭრო მოცულობა შეადგენდეს არა ნაკლებ 100 მილ. აშშ დოლარს, ხოლო სუბპოზიციის მისაღებად 50 მილ. აშშ დოლარს და მინიმუმ ორი სახელმწიფოს თანხმობა;

8. ჰს მუხლის 2 „მომლაპარაკებელი მხარეების ვალდებულება“ თანახმად, მხარეები ვალდებული არიან:

ა) გამოიყენონ ჰს ყველა სასაქონლო პოზიციები და სუბპოზიციები, აგრეთვე მათზე მიკუთვნებული ციფრული კოდები რაიმე სახის დამატებების ან ცვლილებების გარეშე;

ბ) გამოიყენონ ჰს ინტერპრეტაციის ძირითადი წესები, აგრეთვე კარების, ჯგუფების და სუბპოზიციების ყველა შენიშვნა და არ შეცვალონ კარების, ჯგუფების ან სუბპოზიციების შინაარსი.

9. საქსტატის მიერ 2012 წ. გამოქვეყნებული სეს სნ და ბრძანებაში მოცემული სეს ესნ უმეტესი მონაცემები თანხვედრაში არ არის.

დასკვნა

კონვენციის თანახმად, გემებზე წარმოქმნილი ნავთობშემცველი ნარევი, მათ შორის ნავთობშემცველი ლიალური წყალი, წარმოადგენს სახიფათო თხევად ნარჩენს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს იმპორტული საქონელი, რადგანაც იგი წარმოქმნილია არა რომელიმე ქვეყანაში და შემდგომ გემების საშუალებით შემოტანილი საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში, არამედ გემის ექსპლუატაციის პროცესშია წარმოქმნილი და ექვემდებარება ნავსადგურის ნარჩენების მიმღებ ნაგებობაში ჩაბარებას.

მას შემდეგ, რაც გემზე წარმოქმნილი ნავთობშემცველი ნარევი დაექვემდებარა დაბეგვრას (ჩაითვალა, როგორც იმპორტული საქონელი), საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში იმპორტის გადასახადის სახით, არ შესულა არც ერთი ლარი.

უცხო ქვეყნის გემების მეპატრონეები მზად არიან ნავსადგურში ჩააბარონ ყოველგვარი სახის ნავთობშემცველი ნარევი და შესაბამისად გადაიხადონ ჩაბარების მომსახურების ღირებულება, მაგრამ საქართველოს პორტების ხელმძღვანელობა იმის გამო, რომ საჭიროა მთელი რიგი საბაჟო ოპერაციების განხორციელება ნარჩენების პორტში მიღების და პორტიდან გაცემის დროს, ყველანაირი მეთოდებით თავს არიდებენ, რის გამოც გემების მეპატრონეები იძულებული არიან ნარჩენები ჩააბარონ სხვა ქვეყნის პორტებში, რის შედეგად საქართველო კარგავს გარკვეულ შემოსავალს.

გამომდინარე იქიდან, რომ ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს საზღვაო ნავსადგურები, ვაღდებული არიან მიიღონ გემზე წარმოქმნილი ყოველგვარი სახის ნარჩენები, ვფიქრობთ ანგარიშგასაწევი და აქტუალურია სტატიაში მოყვანილი შენიშვნები და მოსაზრებები.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანების და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. გამოქვეყნებული 11/09/2014.
2. Международная конвенция о гармонизированной системе описания и кодирования товаров (совершено в Брюсселе 14 июня 1983 г.).
3. Международная конвенция по предотвращению загрязнения с судов. Марпол 73/78.
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. კონსოლიდებული პუბლიკაციები 28/06/2019.
5. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ნომენკლატურა (HS 2012).
6. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება № 241, 2012 წლის 11 ივლისი.

SOME ISSUES OF THE „INTERNATIONAL CONVENTION ON THE HARMONIZED COMMODITY DESCRIPTION AND CODING SYSTEM“

**OMAR ONIASHVILI, Consultant of the company „Bilge Water“
GODERDZI TABATADZE, GTU Emeritus, Professor
GELA LOBJANIDZE, Associate Professor
NODARI MACHAVARIANI, Associate Professor
VALERI KHITARISHVILI, Associate Professor**

Sunnary

Association Agreement, Agreement obligations, adopted a series of laws and regulations, according to which, it became necessary codes are some of the new definition and performance, foreign economic activities, HS Convention (Georgia joined at the end of last century). The document (which is a rather complicated legal document), with which all importers and exporters declare, any explanations in the form of „Tax Code Comments“ or other publications, does not currently exist.

The purpose of this article is to provide interested persons with some assistance in clarifying the general and some specific issues of the Convention.

Key words: Tax Code; Harmonized System of International Convention; Foreign Economic Activities; Petroleum products.